



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 574
16/08/2018

574-09-4-201808160927



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 245) საცხოვრებელი სახლის (ერთი ბლოკი - სამი კოტეჯი) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ;

2018 წლის 10 აგვისტოს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „დიოსკურია დეველოპმენტი“-ის დირექტორის გოჩა კამკიას (პ. ნ. 62004011889) №7722/09 განცხადებაზე, რომელიც ეხება ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 245) საცხოვრებელი სახლის (ერთი ბლოკი - სამი კოტეჯი) მშენებლობის ნებართვის გაცემას.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე, მე-XII-ე და მე-XV-ე თავებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შპს „დიოსკურია დეველოპმენტი“-ს მოთხოვნა და გაცემული იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 245) ნებართვა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე თავისა და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი

სპეციალისტის ანზორ ცეცლაძის 2018 წლის 14 აგვისტოს N1869-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დაკმაყოფილდეს შპს „დიოსკურია დეველოპმენტი“-ს მოთხოვნა და გაცემული იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 245) საცხოვრებელი სახლის (ერთი ბლოკი - სამი კოტეჯი) მშენებლობის ნებართვა;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს (გ. დეკანაძე) უზრუნველყოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის განხორციელება;
- 3) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტსა და სამუშაოების განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მოცემული ვადები;
- 4) მშენებლობის სანებართვო მოწმობაში გაწერილ იქნას შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;
- 5) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების გადაცემა;
- 6) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს - ლაშა ბოლქვაძეს;
- 7) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 8) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა